მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №45

2022 წლის 10 მაისი

ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის, მერიის დებულებისა და მერიის სამსახურების დებულებების შენიშვნებით დაბრუნების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის თანახმად:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია:

ა) მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიცირებულ ,,,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის დანართის მე-4 მუხლის მე-2 პუნტი ჩამოყალიბდე შემდეგი რედაქციით:

,,2. სამსახურის განყოფილებებია:
ა) ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური მომსახურებისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება;
ბ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება.“;

ბ) აღმიშნულის გათვალისწინებით განხორციელდეს ცვლილება დადგენილების შესაბამის მუხლებში;

გ) განკარგულების 1-ლი მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ცვლილებიდან გამომდინარე შეტანილ იქნეს ცვლილება ,,,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტში.

2. განკარგულება გადაეგზავნოს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა